ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 356

6 აგვისტო
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-7 მიკრო / რაიონის კორპუსი №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.004.024.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის,61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას" ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-7 მიკრორაიონის კორპუსი №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.004.024.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №21.1036.1088 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-7 მიკრო/რაიონში, კორპუსი №22-ში, პირველ სართულზე მდებარე 79.98 კვ.მ. ფართის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.11.10.004.024.01.506), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნათელა გობეჯიშვილისთვის (პ/ნ. 01001045651) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**